

## ფინანსები

### საქართველოს საკრედიტო ბაზრის კონცენტრაციის ანალიზი

ნანა შონია

nanashonia@gmail.com

აკაკი ბაკურაძე

akaki.bakuradze@atsu.edu.ge

ირინე კოპალიანი

irine.kopaliani@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ბაზრის ზოგიერთ სეგმენტს ქვეყანაში, მათ შორის საბანკო სექტორს კონცენტრაციის მაღალი ხარისხი ახასიათებს. კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ქმედითი ზედამხედველობა აღარ ხორციელდება. ყოველივე ამან, ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სუბიექტების მხრივ ანტიკონკურენტული ქმედებების და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები წარმოქმნა. საბანკო სექტორში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და განვითარება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. საქართველოში ბანკთაშორისი ბაზარი კონცენტრაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება, სადაც აშკარად გამოხატულია ორი ლიდერი ბანკის დომინირებული მდგომარეობა. ამ მოცემულობაში რატომ უნდა იქმნება ძლიერი ბარიერი საბანკო ბაზარზე ახალი მოთამაშის შემოსვლისათვის, რაც მომხმარებლების ინტერესების სასარგებლოდ ბაზარზე ახალი მოთამაშის შემოსვლის შესაძლებლობას ზღუდავს.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო სექტორი, კონკურენცია, კონცენტრაცია, კოეფიციენტ(ებ)ი, პანდემია, რეგულირება.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული, შემოსავლების არათანაბარი განაწილების გამო, მსოფლიო ეკონომიკის წინსვლა არ აღმოჩნდა საკმარისი დამლეულიყო სიღარიბე. მართალია, მილიარდობით ადამიანმა თავი დააღწია ამ პრობლემას, მაგრამ მაინც გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა და დამაბულობა. ამასთან ერთად, ხანგრძლივი პოლიტიკური მღელვარებები და კრიზისები მუდმივად მიუთითებდნენ, რომ მსოფლიო არსებულ სახეს/„წონასწორობას“ ვეღარ შეინარჩუნებს.<sup>1</sup>

პანდემიის დასასრული თითქმის ახლოს არის, მაგრამ როგორი გახდება

<sup>1</sup> სრულად იხ.: <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/12/post-pandemic-brave-new-world-sandbu.htm>

## ნ. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კოპალიანი

სამყარო ჯერ უცნობია. მსოფლიოს პოლიტიკური თუ „ეკონომიკური კლიმატის“ მმართველ გუნდში როგორი სტრუქტურული ცვლილებები მოხდება, ძნელი სათქმელია. თუმცა, ერთი რამ ცხადია, მუდმივი ეკონომიკური კრიზისების პირობებში, განვითარებადი ქვეყნების მომავალი უფრო საგანგაშო და ბუნდოვანია, ვიდრე „ლიდერი ქვეყნების“, რადგანაც Covid-19-თან დამოუკიდებლად ბრძოლაში მათი უუნარობა აშკარად გამოჩნდა.

უამრავი ინფორმაცია ვრცელდება იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყანის ეკონომიკა უფრო დაზარალდა Covid-19-თ. არსებული ფაქტი, რომ „ლიდერთა“ სიაში განვითარებული სახელმწიფოებია, არცაა გასაკვირი, თუმცა მათ ამ კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევა ბევრად სწრაფად შეუძლიათ, ვიდრე განვითარებად ქვეყნებს. მომავლის ეს უმძიმესი პრობლემა არასასურველ გავლენას მოახდენს როგორც საქონლის მიმოქცევის და მომსახურების, ისე შრომის დანაწილების საერთაშორისო ბაზარზე (საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპი ჯერ კიდევ აღემატება მსოფლიო შიდა პროდუქტის ზრდას, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამავე დროს მისი ბოლო წლების დინამიკა არასახარბიელოა.<sup>1</sup>

ნებისმიერი მსოფლიო პრობლემის მოგვარებაში საქართველოს თავისი მოკრძალებული წვდომის შეტანა ჩვევია, მაგრამ პანდემიით შექმნილ ვითარებაში, მას ამის რესურსები უბრალოდ არ გააჩნია. ფაქტია, რომ უკვე შეიცვალა მისი სტრატეგიების პრიორიტეტების „მნიშვნელობაც“. შესაბამისად, მკვეთრი ცვლილებები განიცადა ქვეყნის სოციალურმა და ეკონომიკურმა პოლიტიკამ და მისმა მდგენელებმა. მძიმე მისიად რჩება თითოეული მოქალაქისათვის ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ძვირადღირებული სოციალური პროგრამების გატარება, დაკარგული სამუშაო ადგილების დაბრუნება, სიღარიბის შეჩერება და დაძლევა და მცირე/საშუალო ბიზნესის დახმარება და ა.შ.

ასეთი მასშტაბის კრიზისის პირობებში, სახელმწიფოს მოუწია, თავის თავზე აეღო პანდემიით წარმოქმნილ რისკზე სრული პასუხისმგებლობა როგორც მოსახლეობის არსებული ცხოვრების დონის შენარუნებაზე, ისე ბიზნესის ზარალიანობის მინიმუმამდე დაყვანისთვის და ეს ყველაფერი უნდა შეასრულოს ეკონომიკური კოლაფსის პირობებში. შესაბამისად, საკუთარი რესურსებით ასეთი უპრეცედენტო ხარჯების გაწევა საქართველოს მთავრობას არ შეუძლია და, ძირითადად, მსოფლიო თანამეგობრობის და საერთაშორისო პარტნიორების იმედად რჩება. ცხადია, რომ პოსტკოვიდურ პერიოდში, საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები გაამძლიერებენ საქართველოს დახმარებას, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. ამისთვის დამატებით აუცილებელია

<sup>1</sup> სრულად იხ.: <https://undocs.org/A/73/208>

უცხოელი ინვესტორების მოზიდვა და მათი ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორში ჩართვა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების „ახალი თეორიების“ შექმნამდე, როგორც არასდროს, ისე ჭირდება მთავრობას მეცნიერ-ეკონომისტთა თუ აღიარებულ პრაქტიკოს სპეციალისტთა დახმარება, რადგან ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი სტრუქტურა/ფინანსური სექტორი, ნებისმიერ სიტუაციაში, რჩება ყველაზე მიმზიდველ საინვესტიციო სივრცედ, ამიტომ აუცილებელია ინვესტორებისთვის შეიქმნას გარკვეული საინფორმაციო ბაზა/ბანკი, რომელიც მოიცავს განვითარების ანალიტიკურ, საპროგნოზო და სტრატეგიული მიმართულების კვლევის შედეგებს და სრულად დაახასიათებს ამ სექტორში, განსაკუთრებით, საკრედიტო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ტენდენციებს, კონკურენციის ხარისხს, მოკლედ არსებულ ვითარებას. ასეთ მნიშვნელოვან საქმეში მოკრძალებული წვლილის შეტანა არის სწორედ ამ ნაშრომის მიზანი.

ცნობილი ეკონომისტის ჯ. ოკამოტოს აზრით - „პანდემიის პერიოდში რისკები უფრო რისკიანები გახდნენ. ამასთან, ფასების არასტაბილურობა, ვალდებულებების შეუსრულებლობა და ბაზრის რეგულირების წესების მუდმივი ცვალებადობა შეცვლიან ფინანსური სექტორის ლანდშაფტურ სურათს. აქტივებზე ფასების და საბაზრო პირობების მკვეთრი ცვლილება, რომელიც შეინიშნებოდა პანდემიის დასაწყისში, შეცვლიან რისკების მართვის მოდელს, რომლებიც გავლენას მოახდენენ ამ სექტორის ეკონომიკური აგენტების საქმიანობის რენტაბელობაზე, აქტივების ლიკვიდურობაზე და მათ სამართავად გათვალისწინებულ კაპიტალურ რეზერვებზე...<sup>1</sup>

ფაქტია, რომ საბანკო პროდუქტების ბაზარზე კონკურენცია ატარებს გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებს, განსხვავებით სხვა ბაზრებზე არსებული კონკურენციისაგან. კერძოდ, საკრედიტო ბაზარი ოპერირებს აბსოლუტური ლიკვიდურობის მქონე საქონლით/ფულით, რაც მოგების მიღების მაქსიმალურ შესაძლებლობას ქმნის და დაკავშირებულია საბანკო სექტორში ფინანსური კაპიტალის მობილობასთან.<sup>2</sup>

საქართველში საბანკო კონკურენციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები მოქცეულია კონსოლიდირებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ფარგლებში.<sup>3</sup> პარალელურად,

<sup>1</sup> სრულად იხ.: <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/09/balancing-risk-and-resilience-geoffrey-okamoto.htm>

<sup>2</sup> განსხვავებით სხვა სახის კაპიტალისაგან, ფინანსური კაპიტალი უფრო მეტად არის მობილური, რადგან მას შეუძლია სწრაფად „განერიდოს“ ქვეყნებს, სადაც მაღალია გადასახადები და მკაცრი საბანკო რეგულირების მექანიზმი გამოიყენება;

<sup>3</sup> სრულად იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=11>;

## 6. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კობალიანი

2014 წელს დაარსდა „საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო“<sup>1</sup> და გასაკვირია ის ფაქტი, რომ 2020 წ. ჩათვლით სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში არაა მოხსენებული საბანკო სექტორთან დაკავშირებულ ბაზარზე კონკურენციის ანალიზი და, შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ხომ არ ხდება ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკების მიერ კლიენტების გადანაწილება შეთანხმებულად?

ფოკუს ჯგუფებთან ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საბანკო ბაზარზე საკმაოდ „ჰარმონიულად“ მიმდინარეობს პროცესები. ამასთან, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მსესხებლების უკმაყოფილება საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით, ისევე ფიქსირდება ფაქტები, რომ მათთვის ხელშეკრულების გაფორმების დროს ცნობილი ხდება რეალური პროცენტი და ა.შ., თუმცა სააგენტოს მიერ „საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა“ ასეთ საკითხებზე ჯერჯერობით არ ჩანს.


ჩვენი მიზანია შევისწავლოთ და მომავალ ინვესტორებს მივაწოდოთ თუ რამდენად კონცენტრირებულია საქართველოში საკრედიტო ბაზარი, ანუ დაკრედიტების მიმართულებით ადგილი აქვს თუ არა კონცენტრაციას და გამოვიკვლიოთ საქართველოში მოქმედი 15 ბანკის<sup>2</sup> მთლიანი სესხების მიხედვით საკრედიტო ბაზრის კონცენტრაციის დონე 2015-2019 წლების მონაცემებზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მე-15 მითითება ბაზრის მოცულობის, ეკონომიკური აგენტების წილის/საბაზრო ძალაუფლების შეფასების და კონკურენციის დონის შეფასების სხვადასხვა მეთოდები.<sup>3</sup>

<sup>1</sup> სააგენტოს საქმიანობის მიზანი და უფლება-ვალდებულებები იხ: <https://competition.ge/about-us/what-we-do>

<sup>2</sup> ნაშრომზე მუშაობის დროს სს VTB ბანკი ფუნქციონირებდა.

<sup>3</sup> Herfindahl-Hirschman index - შემუშავებულია ო. ჰერფინალდის (Orris C. Herfindahl) და ა. ჰირშმანის (Albert O. Hirschman) მიერ. ის ბაზრის მონოპოლიზაციის მაჩვენებელია, რომელიც განისაზღვრება, როგორც თითოეული მონაწილის საბაზრო წილის პროცენტული კვადრატების ჯამი:  $HHI = S_1^2 + S_2^2 + \dots + S_n^2$  იგი აქტიურად გამოიყენება კონკრეტული ბაზრის მონოპოლიზაციის დონის შეფასებისათვის, ინდუსტრიაზე შერწყმისა და შესყიდვების პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგისათვის. რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ამერიკაში, ის გამოიყენება როგორც ინდიკატორი, რომლის საფუძველზეც ანტიმონოპოლიური სამსახური განსაზღვრავს შერწყმისა და შესყიდვების ნებართვის გაცემის საკითხებს. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი ინარჩუნებს ზოგად წესს, რომ თუ შერწყმის გარიგება იწვევს HHI-ის 200 და მეტი პუნქტით გაზრდას, შეიძლება არსებობდეს გარიგების შედეგად ანტიმონოპოლიური კანონების დარღვევის ლეგიტიმური საფრთხე. მერყეობს 1-დან 10000-მდე, თუ ვივარაუდებთ, რომ იდეალური კონკურენციის ბაზარზე ვართ, ყველა გამყიდველს ერთი და იგივე 1%-იანი წილი აქვს (ჯამში 100 მონაწილე), შესაბამისად ინდექსის მნიშვნელობა იქნება:  $1^2 \times 100 = 100$ . ოლიგოპოლისტურ ვითარებაში, მაგალითად, 10 კერძო მფლობელი და ბაზრის წილი-10%, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობა იქნება  $10^2 \times 10 = 1000$ . ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა მიიღწევა როცა ბაზარზე არის სრული და აბსოლუტური მონოპოლიის მდგომარეობა - ერთი მონაწილე, რომლის საბაზრო წილი 100% -ია:  $100^2 \times 1 = 10000$ .



გრაფიკი 1. საკრედიტო ბაზრის HHI ინდექსი 2015-2019 წწ.

კვლევის დროს ჩავთვალეთ მიზანშეწონილად განგვესაზღვრა კომერციული ბანკების კონცენტრაციის დონე ცალკეული პროდუქტების მიხედვით, კერძოდ აქტივების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის - საკრედიტო პორტფელების მიხედვით.

პირველი გრაფიკიდან ჩანს, რომ HHI ინდექსის საშუალო წლიურმა ზრდამ 2015-2019 წლებში შეადგინა 4.03%-ს, რაც ადასტურებს ბაზარზე ახალი მოთამაშეების „შესვლის სირთულის“ ზრდას ყოველწლიურად.


ცხრილი 1. საკრედიტო ბაზრის კონცენტრაციის კოეფიციენტი (CR2)

1.01-სთვის	d <sub>1</sub>		d <sub>2</sub>		CR2	
	კოეფიციენტი	%-ში	კოეფიციენტი	%-ში	კოეფიციენტი	%-ში
2020	0,3857	38,57	0,3603	36,03	0,746	74,6%
2019	0,3798	37,98	0,3454	34,54	0,7252	72,52
2018	0,3760	37,60	0,3394	33,94	0,7154	71,54
2017	0,3350	33,50	0,3719	37,19	0,7069	70,69
2016	0,3083	30,83	0,3669	36,69	0,6752	67,52

ანალიზმა აჩვენა, ასევე, რომ კომერციული ბანკების მთლიანი სესხების და მთლიანი აქტივების მიხედვით HHI ინდექსი დაახლოებით ერთნაირია და გადაცილებულია ზომიერი კონცენტრაციის მაჩვენებელს 2250-ს, რაც მიუთითებს რომ ქვეყნის საბანკო ბაზარი მაღალკონცენტრირებულია, კერძოდ ოლიგოპოლიურია ორი ლიდერი ბანკის - სს „თიბისი ბანკის“ (TBC BANK) და სს „საქართველოს ბანკი“-ს (BANK OF GEORGIA) მიერ.



## ნ. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კოპალიანი



### გრაფიკი 2.

ბაზარზე ჯგუფური დომინირების განსაზღვრისას/შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული კონცენტრაციის კოეფიციენტი (CR)<sup>1</sup>, რომელიც არის შეფარდებითი სიდიდე და მიუთითებს კომპანიების წილზე, მის „სიდიდეზე“ მთლიან ინდუსტრიასთან მიმართებაში. ცხრილი 1 და გრაფიკი 2-დან ჩანს, რომ ბაზარი ძლიერ კონცენტრირებულია და სახეზეა ოლიგოპოლიური ბაზრისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა.

კონცენტრაციის გაზომვისათვის დამატებითი დამხმარე კოეფიციენტების რანგში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მაჩვენებლები, როგორცაა შეფარდებითი კონცენტრაციის კოეფიციენტი -  $K$  (Relative concentration ratio), რომელიც განისაზღვრება ბაზარზე მსხვილი ბანკების რაოდენობისა და მათ მიერ კონტროლირებადი საქონლის გაყიდვების წილის თანაფარდობით (იხ.ცხრილი 2).

### ცხრილი 2. შეფარდებითი კონცენტრაციის კოეფიციენტის (K) დინამიკა 2015-2019 წწ.

პერიოდი	K	
	კოეფიციენტში	%-ში
2019	0,8042	80,42
2018	0,8274	82,74
2017	0,8387	83,87
2016	0,8488	84,88
2015	0,8886	88,86

<sup>1</sup> Concentration ratio, გაანგარიშებულია ორი უმსხვილესი ბანკისთვის  $CR = \sum d_i$ , სადაც  $d_i$  - შესაბამისად, „თბს“ ბანკის და „საქართველოს ბანკის“ წილია გაცემული სესხების საერთო მოცულობაში. ქართული საბანკო სექტორში ამ კოეფიციენტის დაანგარიშებისათვის შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ მთლიანი აქტივების მეთოდით.

ორი უმსხვილესი ბანკისათვის, 2015-2019 წლების მონაცემებით, გავიანგარიშეთ შეფარდებითი კონცენტრაციის კოეფიციენტი, საკრედიტო ბაზრისათვის (იხ. ცხრილი 2) ფორმულით:  $K=(20+3b)/d$ , სადაც  $b$  არის ორივეს წილი მონაწილეთა საერთო რიცხვში, ხოლო  $d$  - შესაბამისად, მათი წილი გაცემული სესხების საერთო მოცულობაში. ზოგადად, როდესაც  $K$  ნაკლებია 1-ზე ან 100%-ზე, მაშინ მაღალია კონცენტრაციის ხარისხი (კოპალიანი 2021: 78-79).

### ცხრილი №3. ჰოლი-თაიდმანის ინდექსის დინამიკა

პერიოდი	HTI	
	კოეფიციენტები	%-ში
2019	0,2223	22,23
2018	0,2135	21,35
2017	0,2123	21,23
2016	0,2109	21,09
2015	0,2109	21,09

ჰოლი-თაიდმანის ინდექსი -  $HTI$  (Hall-Tideman index) იზომება ბაზრის ყველა მონაწილის რეიტინგისა და მათი საბაზრო წილის აორიოგაიის გათვალისწინებით და იანგარიება ფორმულით  $HTI = \frac{1}{2\sum_{i=1}^n r_i d_i - 1}$ , სადაც  $r_i$  არის ცალკეული ბანკის რეიტინგის რიცხვითი მაჩვენებელი უპირატესობით, ხოლო  $d_i$  - შესაბამისად, მათი წილი გაცემული სესხების საერთო მოცულობაში. მაქსიმალური მაჩვენებელი 1 - მიუთითებს მონოპოლიზაციაზე. ჩვენს შემთხვევაში, ის მინიმალურია - 1/15 ანუ 0,07 (იხ. ცხრილი №3).

ენტროპიის კოეფიციენტი -  $E$  (entropy coefficient) არის ინდიკატორი, რომელიც უკუპროპორციულია კონცენტრაციის ინდექსთან და აჩვენებს ბანკების საშუალო წილის შეწონილს საპასუხო ბუნებრივი ალგორითმით. იგი ზომავს ფორმებს შორის წილის განაწილების შემთხვევითობას ბაზარზე: რაც უფრო მაღალია ენტროპია, მით უფრო დაბალია გამყიდველების შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ საბაზრო ფასზე. ბოლო 5 წლის მონაცემით ინდექსი წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

### ცხრილი 4. ენტროპიის ინდექსის (E) დინამიკა

1.01-სთვის	E
2019	1,6616
2018	1,7143
2017	1,7318
2016	1,7510
2015	1,7847

**ლერნერის ინდექსი/კოეფიციენტი<sup>1</sup>  $Lrc$**  - გვთავაზობს მონოპოლიური ძალაუფლება განისაზღვროს ცალკეული სუბიექტების მიერ ფასის განსაზღვრის გზით და იანგარიშება შემდეგი ფორმულის შესაბამისად:  $Lrc = \frac{P-MC}{P}$ , სადაც  $P$  არის შესაბამის ბაზარზე კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების ფასი (ტარიფი), ხოლო  $MC$  არის შესაბამის ბაზარზე კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებაზე საწარმოს მიერ გაწეული ზღვრული ხარჯები. იგი ზუსტად განსაზღვრავს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალას, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მისი დამოუკიდებლად მოქმედების და გონივრულ ვადაში საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით. და, ასევე, კონკურენტთან შედარებით დაბალი ფასის ან ტარიფის დაწესების შესაძლებლობას (კოპალიანი 2021: 79-81).

სამეცნიერო წრეებში არ წყდება კვლევები, რომ გაეცეს პასუხი კითხვებს: სიმჭიდროვის როგორი კავშირია საბანკო სტრუქტურასა და ეკონომიკურ ზრდას შორის და რა ზომით ეხმარება/ხელს უშლის საბანკო კონკურენცია ეკონომიკის ფინანსურ სტაბილურობას. ემპირიულ ანალიზში გავრცელებულია პანზარ-როსის/P-R statistics<sup>2</sup> მოდელი. მისი დახმარებით, შესაძლებელი ხდება გაზომილ იქნეს ფაქტორული ფასების ცვლილების გავლენა ბანკის შემოსავლების ცვლილებაზე. ამისათვის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ელასტიურობის შეფასება ხდება მოზიდული სახსრების AFR (Average Funding Rate), ადამიანური რესურსების PPE (Price of Personal Expenditure) და სხვა ხარჯების ღირებულების PONILE (Price of Other Non Interest and Labor Expenditure) მიხედვით. მათი ელასტიურობის დაჯამების შედეგად მიიღება H - statistic მაჩვენებელი.

საბოლოოდ, ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ფაქტი, რომ საბანკო სექტორი ხასიათდება კონცენტრაციის მაღალი დონით და აშკარად იკვეთება ორი ლიდერი ბანკის დომინირების მომენტი. ამ ლიდერი ბანკების 2015-2019 წლების მონაცემების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მათი ძალები/წილები“ ბაზარზე ხასიათდება ზრდის ტენდენციით, აღნიშნულის მომდევნო წლებში გაგრძელების კვალობაზე

<sup>1</sup> Lerner's index/coefficient - შემუშავებულია ა. ლერნერის (Abba P. Lerner) მიერ 1934 წ.

გაიანგარიშება ფორმულით:  $E = \sum d_i \ln(1/d_i)$  და გვიჩვენებს, თუ რამდენად მეტ მოგებას იღებს კონკრეტული მონოპოლიური ფირმა იმასთან შედარებით, რასაც ის სამართლიანი კონკურენციის პირობებში მიიღებდა. ამ ინდექსით, ასევე, შესაძლებელია შეფასდეს მონოპოლისტის მიერ „ბაზრის დამახინჯების“ დონე, იგი მოძრაობს 0-დან 1-მდე და რაც მეტია ამ ინდექსის რიცხვითი მნიშვნელობა, მით მეტია ბაზრის მონაწილის შედარებითი „საბაზრო ძალა“ და მისი შესაძლებლობა დამოუკიდებლად განახორცილოს კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასის დაწესება. სრულად მონოპოლიზირებულ ბაზრის სეგმენტზე მისი მნიშვნელობა 1-ის ტოლია, ხოლო 0 ან 0-თან მიახლოებული მნიშვნელობა მიუთითებს სრულყოფილ კონკურენციაზე.

<sup>2</sup> P-R statistics - შემუშავებულია John C. Panzar და James N. Rosse მიერ 1987 წ.



კიდევ უფრო გაიზრდება კონცენტრაციის ხარისხი და საბანკო სექტორი დადგება მონოპოლიზაციის საფრთხის წინაშე.

P.S.სიახლესაბანკოზარზარეხალიკონცენტრაციისშესახებსულახლახან გახდა ცნობილი, კერძოდ სს „კრედიტ ბანკი“ მიერ სს „ფინკა ბანკის“ შემენის გარიგება გახდა ცნობილი 2021 წლის 24 ივნისს, რის შემდეგაც „ფინკა ბანკის“ აქციების 100% მფლობელი სწორად „კრედიტ ბანკი“ გახდება. გარიგება მხარეებს შორის შეთანხმებულია. ამ ეტაპზე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „საქართველოს ეროვნული ბანკი“ განიხილავს სს „კრედიტ ბანკის“ მიმართვას აღნიშნული გარიგების კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება იქნება დადებითი და 2021 წელს კიდევ ერთი საკმაოდ მსხვილი კონცენტრაციის მოწმე გავხდებით ქართულ საბანკო სივრცეში. საინტერესოა როგორ გადანაწილება ბანკების პოზიციები აღნიშნული გარიგების შემდეგ: სს „კრედიტ ბანკი“ რომელიც 2021 წ. პირველი კვარტლის მონაცემებით აქტივების ზომის მიხედვით მე-9 ადგილზეა მოქმედ 15 ბანკს შორის, აღნიშნული გარიგების შემდეგ მე-7 ადგილზე გადაინაცვლებს და აღმოჩნდება რეიტინგში ისეთი მსხვილი ბანკების წინ როგორიცაა სს „ქართუ ბანკი და სს „ტერა ბანკი“. რაც შეეხება წმინდა მოგების მაჩვენებელს, ამ პარამეტრში „კრედიტ ბანკი“ ბოლო პერიოდია მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს, მოსალოდნელია რომ გამსხვილების შემდეგაც შეინარჩუნებს საპატიო მე-5 ადგილს, რომელიც 2021 წ. პირველი კვარტლის მონაცემებით უკავია.

### ლიტერატურა

- კოპალიანი, ირინე. 2021. კონკურენცია საქართველოს საბანკო სექტორში და მისი რეგულირების სრულყოფის გზები საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
- კოპალიანი, ირინე. 2019. „ჭარბვალიანობა და მისი შეფასების მეთოდები“. ელექტრონული ჟურნალი - თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი. <https://ejournals.atu.ge/BLSS/eJournal/Papers/ShoniaNana.pdf>
- საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2020, [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2021/annual\\_report\\_2020\\_nbg.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2021/annual_report_2020_nbg.pdf)

## ნ. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კოპალიანი

---

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). 2009. მუხლი 47.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044?publication=46>

საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). 2012. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=11>

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება #37, 2020 წ. 23 ოქტომბერი, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5021329?publication=0>

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი, პილარ 3-ის წლიური ანგარიში. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=673>

## Finance

### Georgian Credit Market Concentration Analysis

**Nana Shonia**

nanashonia@gmail.com

**Akaki Bakuradze**

akaki.bakuradze@atsu.edu.ge

**Irine Kopaliani**

irine.kopaliani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

*At the current stage of development of the Georgian economy, some market segments in the country, including the banking sector, are characterized by a high degree of concentration. Compliance with competition rules and principles was no longer effectively overseen. All this has created risks of anti-competitive actions and abuse of market power by those already established in the market. Establishing and developing a competitive environment in the banking sector is one of the important elements of a market economy. The interbank market in Georgia is characterized by a high degree of concentration, where the dominant position of the two leading banks is clearly expressed. This data certainly creates a strong barrier to the entry of a new player in the banking market, which limits the possibility of a new player entering the market in the interests of consumers.*

**Keywords:** banking sector, competition, concentration, ratio (s), pandemic, regulation.

Since the 1980s, due to the unequal distribution of income, the advancement of the world economy has not proved sufficient to tackle poverty. It is true that billions of people have escaped this problem, but social inequality and tension have deepened. At the same time, prolonged political turmoil and crises have repeatedly indicated that the world can no longer maintain its current image / "balance".<sup>1</sup>

The end of the pandemic seems to be near, but what the world will be like is still unknown. It is difficult to say what structural changes will take place in the ruling team of the world political or "economic climate". However, one thing is clear, in the conditions of constant economic crises, the future of developing countries is more alarming and vague than that of the "leader countries", because

---

<sup>1</sup> See more: <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/12/post-pandemic-brave-new-world-sandbu.htm>

## 6. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კობალიანი

---

their inability to fight Covid-19 independently has become obvious.

There is a lot of information about which country's economy was most affected by Covid-19. The fact that developed countries are on the list of "leaders" is not surprising, although they can escape from this crisis much faster than developing countries. This severe problem of the future will have a negative effect on both the international market for the circulation of goods and services and the distribution of labor (the growth rate of international trade is still higher than the growth of world GDP, but at the same time its dynamics in recent years are unfavorable).<sup>1</sup>

Georgia is accustomed to making a modest contribution to solving any world problem, but in a pandemic, it simply does not have the resources to do so. The fact is that the "importance" of the priorities of its strategies has already changed. Consequently, the social and economic policy of the country and its constituents underwent drastic changes. Access to quality education and health care, pursuing costly social programs, returning lost jobs, stopping and overcoming poverty, helping small / medium-sized businesses, etc. remain a difficult mission for every citizen.

In a crisis of this magnitude, the state has had to take full responsibility for the risk posed by the pandemic, both to maintain the existing standard of living of the population and to minimize the loss of business, and all this must be done in the conditions of economic collapse. Consequently, the Georgian government cannot afford such unprecedented expenditures with its own resources and, in general, remains the hope of the world community and international partners. It is clear that in the post-Covid period, international organizations and developed countries will strengthen their assistance to Georgia, but this will not be enough. In addition, it is necessary to attract foreign investors and involve their economy in the real and financial sector.

Before creating "new theories" for the development of the country's economy, the government needs the help of scientists-economists or recognized practitioners, because the important structure / financial sector of the national economy, in any situation, remains the most attractive investment space. Therefore, it is necessary to create a certain information base / bank for investors, which includes the results of research on analytical, forecast and strategic directions of development and fully characterizes the trends in this sector, especially in the credit market, the degree of competition, in short, the current situation. The purpose of this paper is to make a modest contribution to such an important work.

According to the famous economist J. Okamoto - "Risks became more risky during the pandemic. At the same time, price volatility, non-fulfillment of

---

<sup>1</sup> See more.: <https://undocs.org/A/73/208>

obligations and ever-changing market regulation will change the landscape of the financial sector. The sharp change in asset prices and market conditions observed at the beginning of the pandemic will change the risk management models that will affect the profitability of the economic agents of this sector, the liquidity of assets and the capital reserves provided for their management...<sup>1</sup>

The fact is that the competition in the banking products market carries some specific signs, unlike the competition in other markets. In particular, the credit market operates with absolutely liquid goods / money, which creates the maximum opportunity to make a profit and is related to the mobility of financial capital in the banking sector.<sup>2</sup>

Legal acts regulating banking competition in Georgia are within the framework<sup>3</sup> of the consolidated norms of the Law of Georgia on Competition. At the same time, the Georgian National Competition Agency<sup>4</sup> was established in 2014 and it is surprising that the reports published by the Agency until 2020 do not mention the analysis of competition in the market related to the banking sector and, consequently, the question arises: Do commercial banks distribute customers in an agreed manner?

Our research with focus groups has shown that the processes in the banking market are quite "harmonious". However, during the interviews, the borrowers' dissatisfaction with the interest rates was revealed, there are still facts that the real interest becomes known to them at the time of concluding the contract, and so on. However, the "investigation and procedure of the case" by the agency on such issues is not yet clear.

Our goal is to study and inform future investors about the concentration of the credit market in Georgia, whether there is a concentration in the direction of lending and we have examined the level of credit market concentration according to the total loans of 15 banks operating in Georgia based on 2015-2019 data.

An important point is the 15th reference of the National Competition Agency to different methods of assessing market size, share of economic agents / market power and assessment of the level of competition.<sup>5</sup>

<sup>1</sup> For more information see: <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/09/balancing-risk-and-resilience-geoffrey-okamoto.htm>.

<sup>2</sup> Unlike other types of capital, financial capital is more mobile because it can quickly "escape" countries where taxes are high and a strict banking regulation mechanism is used.

<sup>3</sup> See more: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=11>


<sup>4</sup> Goal and rights-obligations of the Agency: <https://competition.ge/about-us/what-we-do>

<sup>5</sup> Herfindahl-Hirschmann Index - Developed by O. Herfindahl and A.I. Hirschman. This is the market monopolization rate, which is defined as the sum of the percentage squares of each participant's share:  $HHI = S_1^2 + S_2^2 + \dots + S_n^2$ . It is actively used to assess the level of monopolization of a particular market, to monitor potential mergers and acquisitions in the industry. In some countries, especially in the United States, it is used as an indicator by which the Antitrust Authority



## 6. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კობალიანი

During the research, we considered it expedient to determine the level of concentration of commercial banks by individual products, in particular by the most important part of assets - loan portfolios.



**Graph #1. Credit Market HHI Index 2015-2019**

Graph №1 shows that the average annual growth of the HHI index in 2015-2019 amounted to 4.03%, which confirms the increasing “difficulty of new players entering” the market every year. Also, the analysis showed that the HHI index in terms of total loans and total assets of commercial banks is about the same and exceeds the moderate concentration level of 2250, which indicates that the country's banking market is highly concentrated, namely oligopolistic by two leading banks - JSC "TBC Bank" and JSC "Bank of Georgia".

In determining / estimating group dominance in the market, it is possible to use the widely used concentration ratio (CR)<sup>1</sup> in practice, which is a relative quantity and indicates the share of companies, its "size" in relation to the whole industry.

determines the issues of mergers and acquisitions. The U.S. Department of Justice maintains the general rule that if a merger transaction results in an increase of HHI by 200 or more points, there may be a legitimate risk of antitrust breach as a result of the transaction. Ranges from 1 to 10000, if we assume that we are in an ideal competition market, all sellers have the same 1% share (100 participants in total), hence the value of the index will be:  $1^2 \times 100 = 100$ . Oligopoly situation, for example, with 10 private owners And market share -10%, the value of the Herfindahl-Hirschman index will be  $10^2 \times 10 = 1000$ . The maximum value of the Herfindahl-Hirschman index is reached when the market is in a state of complete and absolute monopoly - 100% of one participant market share:  $100^2 \times 1 = 10000$ ;


<sup>1</sup> Concentration ratio, calculated for the two largest banks  $CR = \sum d_i$ , where  $d_i$  - respectively, TBS Bank and Bank of Georgia share in the total volume of loans issued. To calculate this ratio in the Georgian banking sector, we can be guided by the method of total assets;

**Table 1. Credit market concentration ratio (CR2)**

For 1.01	$d_1$		$d_2$		CR2	
	In the ratio	In %		In %	In the ratio	In %
2020	0,3857	38,57	0,3603	36,03	0,746	74,6%
2019	0,3798	37,98	0,3454	34,54	0,7252	72,52
2018	0,3760	37,60	0,3394	33,94	0,7154	71,54
2017	0,3350	33,50	0,3719	37,19	0,7069	70,69
2016	0,3083	30,83	0,3669	36,69	0,6752	67,52

From Table 1 and Chart 2 it can be seen that the market is highly concentrated and there are signs characteristic of an oligopolistic market.

**Chart 2**



Various indicators such as Relative concentration ratio (K) can be used as additional support ratios to measure concentration, which is determined by the ratio of the number of large banks in the market and the share of sales of the goods controlled by them (Table 2).

**Table 2. Dynamics of Relative Concentration Coefficient (k) 2015-2019.**

Period	K	
	In the ratio	In %
2019	0,8042	80,42
2018	0,8274	82,74
2017	0,8387	83,87
2016	0,8488	84,88
2015	0,8886	88,86

## 6. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კოპალიანი

**Table 3. Dynamics of the Holly-Tidemann Index**

Period	HTI	
	In the ratio	In %
2019	0,2223	22,23
2018	0,2135	21,35
2017	0,2123	21,23
2016	0,2109	21,09
2015	0,2109	21,09

For the two largest banks, in 2015-2019 we calculated the ratio of the relative concentration for the credit market (see Table №2) with the formula:  $K = (20 + 3b) / d$ , where  $b$  is the share of both in the total number of participants, and  $d$  - respectively, their Share in the total volume of loans issued. In general, when  $K$  is less than 1 or 100%, then the degree of concentration is high.

Hall-Tideman index - HTI (Hall-Tideman index) is measured by ranking all market participants and their market share correlation and is calculated by the formula  $HTI = 1 / (2 \sum_{i=1}^{15} (r_i d_i)^{-1})$ , Where  $r_i$  is the numerical indicator of the rating of an individual bank with an advantage, and  $d_i$  - accordingly, their share in the total volume of loans issued. Maximum value 1 - indicates monopolization. In our case, it is minimal - 1/15 or 0.07 (see Table 3).

Entropy coefficient -  $E$  (entropy coefficient) is an indicator that is inversely proportional to the concentration index and shows the weight of the average share of banks with the natural response algorithm. It measures the randomness of market share between firms: the higher the entropy, the lower the ability of sellers to influence market price. The index for the last 5 years is presented in Table №4.

**Table 4. Entropy Index (E) Dynamics**

For 1.01	$E$
2019	1,6616
2018	1,7143
2017	1,7318
2016	1,7510
2015	1,7847

**Lerner Index / Coefficient**<sup>1</sup> Lrc - suggests that monopoly power is determined

<sup>1</sup> Lerner's index / coefficient - developed by A. By Lerner in 1934. It is calculated by the formula:  $E = \sum d_i \ln(1/d_i)$  and shows how much more profit a particular monopoly firm makes compared to what it would receive under fair competition. With this index, it is also possible to estimate the level of "market distortion" by the monopolist, it ranges from 0 to 1, and the higher the numerical value of this index, the greater the relative "market power" of the market participant and its ability to independently set low prices compared to competitors. In a fully monopolized market segment, its value is equal to 1, and a value close to 0 or 0 indicates perfect competition.

by pricing by individual entities and calculated according to the following formula:  $Lrc = (P - MC) / P$ , where  $P$  is the price (tariff) of a particular product or service in the relevant market, and  $MC$  is the marginal cost incurred by the enterprise to deliver a particular product or service to the relevant market. It accurately determines the market power of an economic agent in order to act independently of a relevant segment of the market and to increase its own profits within a reasonable time. And also the ability to set a lower price or tariff compared to a competitor.

Studies in scientific circles do not stop to answer questions: what is the relationship of density between the banking structure and economic growth and to what extent does banking competition help / hinder the financial stability of the economy? The Panzar-Ross / P-R statistics<sup>1</sup> model is common in empirical analysis. With its help, it is possible to measure the impact of factor price changes on changes in bank earnings. To do this, the elasticity of interest and non-interest income is assessed according to the AFR (Average Funding Rate) of attracted funds, Human Resources PPE (Price of Personal Expense) and PONILE (Price of Other Non Interest and Labor Expense). Summing their elasticity gives an H-statistic.

Finally, our research revealed the fact that the banking sector is characterized by a high level of concentration and the moment of dominance of the two leading banks is clearly evident. Analyzing the data of these leading banks in 2015-2019, we can conclude that "their forces / shares" in the market are characterized by an upward trend, the continuation of this in the coming years will further increase the degree of concentration and the banking sector will face the threat of monopolization.

P.S. News about the new concentration in the banking market has just become known, namely the transaction of the acquisition of JSC "Finca Bank" by JSC "Credo Bank" became known on June 24, 2021, after which "Credo Bank" will become the 100% owner of the shares of "Finca Bank". The transaction is agreed between the parties. Based on the current legislation, the National Bank of Georgia is considering the application of JSC Credo Bank on the compatibility of the transaction with the competitive environment. We think that the decision of the National Bank on the compatibility of this concentration with the competitive environment will be positive and in 2021 we will witness another rather large concentration in the Georgian banking space. It is interesting how the positions of the banks will be distributed after the mentioned transaction: JSC "Credo Bank" which according to the data of the first quarter of 2021 is in the 9th place among the 15 operating banks, after the mentioned transaction will move

---

<sup>1</sup> P - R Statistics - Developed by John C. Panzar and James N. Ross in 1987.

## ნ. შონია, ა. ბაკურაძე, ი. კოპალიანი

---

to the 7th place and will be in front of such big banks as JSC "Cartu Bank" and JSC "Terra Bank". As for the net profit ratio, "Credo Bank" has been maintaining a high mark in this parameter for the last period, it is expected that after the expansion it will maintain the honorable 5th place, which is occupied by the data of the first quarter of 2021.